

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. 'ხოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. ამონაგები	9
5. გაყიდვების თვითღირებულება	9
6. კომერციული ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
8. ინვესტიციები	10
9. ძირითადი საშუალებები	10
10. არამატერიალური აქტივები	11
11. საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	12
13. საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
14. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანება	12
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
17. პირობითი ვალდებულებები	14
18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	14

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	შენიშვნა	2022	2021*
ამონაგები	4	18,545,095	15,591,176
გაყიდვების თვითღირებულება	5	(12,527,116)	(8,769,189)
საერთო მოგება		6,017,979	6,821,987
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		29,715	716,997
კომერციული ხარჯები	6	(283,824)	(216,445)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,854,725)	(3,285,091)
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება		(179,821)	(37,743)
საოპერაციო მოგება		729,324	4,044,705
ფინანსური შემოსავალი		103,918	93,337
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი		(487,350)	(364,746)
მოგება დაბეგვრამდე		345,892	3,773,296
მოგების გადასახადის ხარჯი		(316,748)	(283,428)
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		29,144	3,489,869

*2021 წლის მონაცემები მოიცავს დაფუძნებიდან - 2021 წლის 14 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 15 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი



ზურაბ ლალაშვილი

ფინანსური მენეჯერი



ზორენა ბუაძე

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	8	47,170	47,170
ძირითადი საშუალებები	9	529,694	545,415
არამატერიალური აქტივები	10	98,309	86,233
		675,173	678,818
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		18,462	12,590
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	4,525,734	4,335,310
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	4,187,243	4,926,099
		8,731,439	9,273,999
სულ აქტივები		9,406,612	9,952,817
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,861,486	1,641,129
გადასახდელი დივიდენდები		-	1,795,706
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,861,486	3,436,835
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		6,000,000	6,000,000
გაუნაწილებელი მოგება		545,126	515,982
სულ კაპიტალი		6,545,126	6,515,982
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,406,612	9,952,817

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
2021 წლის 14 აპრილი	-	-	-
შემოსულა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანების გზით (შენიშვნა 14)	6,000,000	(1,178,981)	4,821,019
წლის სრული მოგება	-	3,489,869	3,489,869
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,794,906)	(1,794,906)
2021 წლის 31 დეკემბერი	6,000,000	515,982	6,515,982
წლის სრული მოგება	-	29,144	29,144
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	6,000,000	545,126	6,545,126

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები
 ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ლარში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	345,892	3,773,297
კორექტირებები:		
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯი	(103,918)	(93,337)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან	487,350	364,746
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება)/ ზარალი	5,605	(57,448)
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება	179,821	37,743
ცვეთა და ამორტიზაცია	346,776	222,860
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	1,261,526	4,247,861
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების (ზრდა) / კლება	(5,872)	(4,634)
საეჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) / კლება	(597,752)	123,437
საეჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (კლება)	1,319,699	(747,347)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,977,601	3,619,317
გადახდილი მოგების გადასახადი	(316,748)	(283,428)
მიმდინარე საბანკო ანგარიშზე მიღებული პროცენტები	103,917	93,337
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,764,770	3,429,226
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(227,938)	(234,533)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	15,212	29,718
არამატერიალური აქტივების შეძენა	(136,009)	(63,825)
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო	(348,735)	(268,640)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
პარტნიორების შენატანი	-	-
გადახდილი დივიდენდები	(1,795,706)	(1,774,530)
მიღებული / (გადახდილი) სესხები	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1,795,706)	(1,774,530)
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანების გზით შემოსული ფულადი სახსრები	-	(3,904,789)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	(379,671)	5,290,845
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4,926,099	-
საკუროსო სხვაობის ეფექტი	(359,185)	(364,746)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,187,243	4,926,099

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიდიო საქართველო (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია (ID: 405455706) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2021 წლის 14 აპრილს. კომპანიის სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42-42ა, თბილისი, საქართველო, ხოლო ფაქტური მისამართია თარხნიშვილის ქუჩა #2, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ძირითადი საქმიანობაა ზიზნეს საკონსულტაციო მომსახურება.

კომპანიის დამფუძნებლები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში:

პარტნიორები	2022 წ. წილი, %	2021 წ. წილი, %
ზურაბ ლალაზაშვილი	36.00	36.00
ლევან მკლავიშვილი	36.00	36.00
ივანე ჟუჟუნაშვილი	9.00	9.00
მიხეილ ენუქიძე	9.00	9.00
ქეთევან ზარიძე	5.00	5.00
დავით გელაშვილი	2.50	2.50
ვლადიმერ ხრივაძე	2.50	2.50
	100.00	100.00

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მოიცავს შმომბელი საწარმოსა და სრულ საკუთრებაში მყოფი ხუთი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელიც წარდგენილია როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის ანგარიშგება.

კომპანია 2021 წელს გახდა ჯგუფის მფლობელი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანების გზით, დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 14.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	31.12.2022	31.12.2021	საქმიანობის სფერო	რეგისტრაციის თარიღი	შემოსვლის თარიღი
შპს ბიდიო აუდიტი	100.00%	100.00%	მარწმუნებელი და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	08.04.2008	21.04.2021
შპს ბიდიო კონსალტინგ	100.00%	100.00%	ტრენინგები და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება	12.07.2007	21.04.2021
შპს ბიდიო ლეგალ	100.00%	100.00%	იურიდიული მომსახურება	08.04.2008	21.04.2021
შპს ბიდიო სტარტაპ ფონდი	100.00%	100.00%	ტექნოლოგიური სტარტაპების მოძიება, შესყიდვა და განვითარება	11.03.2021	21.04.2021
შპს ბიდიო ეიჰარ ენდ ფერიოლ	100.00%	100.00%	ბიზნეს კონსულტაციები და აუთოსორსინგი	04.12.2015	21.04.2021

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს. ჯგუფის საანგარიშგებო წელი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული. თუ აღნიშნული ეჭბა მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში. თუ გადახედვა ეჭბა ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან და გრძელდება მისი სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

ყოველი წლის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, ასევე სასარგებლო მომსახურების ვადის და ამორტიზაციის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ჯგუფში დადგენილია ძირითადი საშუალებების ჯგუფები, რომლისთვისაც განსაზღვრულია ცხრილში მითითებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	4-5
ავტო და მოწყობილობები	4-5
მანქანები	5-7

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული ჯგუფს ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს, მნიშვნელოვანმა და განუქცრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

4. ამონაგები

	2022	2021
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება	5,530,275	5,337,039
არამარწმუნებელი და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	13,014,820	10,254,137
	18,545,095	15,591,176

5. გაყიდვების თვითღირებულება

	2022	2021
დანახარჯები პერსონალზე	(11,157,764)	(7,928,102)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(248,010)	(167,159)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(274,973)	(155,314)
შეძენილი მომსახურებები	(778,083)	(416,976)
სხვა პირდაპირი ხარჯები	(68,286)	(101,638)
	(12,527,116)	(8,769,189)

6. კომერციული ხარჯები

	2022	2021
დანახარჯები პერსონალზე	(230,885)	(184,383)
სხვა კომერციული ხარჯები	(52,939)	(32,062)
	(283,824)	(216,445)

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დანახარჯები პერსონალზე	(1,782,944)	(1,224,290)
ინფორმაციული უსაფრთხოების და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(802,452)	(543,099)
ოფისის იჯარა	(824,250)	(665,823)
კომუნალური ხარჯები	(318,071)	(202,155)
პროფესიული დაზღვევა	(89,682)	(66,672)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(1,037,326)	(583,052)
	(4,854,725)	(3,285,091)

8. ინვესტიციები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფი ფლობს ინვესტიციებს შემდეგ კომპანიებში:

მფლობელი	კომპანია	შემენის თარიღი	წილი %
შპს ბიდიო აუდიტი	BDO Eurasia B.V.	2016 წ.	5%
შპს ბიდიო სტარტაპ ფონდი	სს დიჯიტრონი	2021 წ.	40%

ჩვეულებრივი ინვესტიცია და ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად აღირიცხება თვითღირებულებით.

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	ავტო და მოწყობილობები	მანქანები	სულ
თვითღირებულება 2020 წლის 14 აპრილს	-	-	-	-
შემოსვლა საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანების გზით (შენიშვნა 14)	340,506	71,254	1,685	413,446
შეძენა	230,533	-	4,000	234,533
გასვლა და ჩამოწერა	(25,496)	(9,768)	-	(35,265)
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	545,543	61,486	5,685	612,714
შეძენა	226,749	1,189	-	227,938
გასვლა და ჩამოწერა	(32,517)	-	-	(32,517)
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	739,775	62,675	5,685	808,135

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარიში)

დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 14 აპრილს	-	-	-	-
2021 წლის ცვეთა	(104,673)	(23,935)	(1,685)	(130,294)
2021 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	39,059	23,938	-	62,995
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბრის	(65,614)	-	(1,685)	(67,299)
2022 წლის ცვეთა	(192,566)	(30,277)	-	(222,843)
2022 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	11,700	-	-	11,700
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრის	(246,480)	(30,277)	(1,685)	(278,442)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება				
2021 წლის 31 დეკემბრის	479,929	61,486	4,000	545,415
2022 წლის 31 დეკემბრის	493,295	32,398	4,000	529,694

10. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანების გზით შემოსულ და შეძენილ არამატერიალურ აქტივებს, რომელთა შორის შედგება პროგრამა ბალანსის და სხვა ლიცენზიებისგან. არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა 1-დან 3 წლამდეა. 2022 წელს არამატერიალური აქტივების ცვეთა 123,933 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულება 98,309 ლარია.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	4,167,908	3,593,189
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(158,894)	(76,065)
სხვა მოთხოვნები	39,998	30,653
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	113,465	125,326
სახელმწიფოებრივი აქტივები	363,257	662,206
	4,525,734	4,335,310
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში		
	2022	2021
რეზერვის ნაშთი 1 იანვრისთვის	(76,065)	-
შემოსვლა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანების გზით (შენიშვნა 14)	-	(123,260)
უიმედო რეზერვის ჩამოწერა	38,768	65,210
აღდგენილი რეზერვები	1,205	400
წლის განმავლობაში შექმნილი რეზერვები	(125,789)	(25,436)
საკუროს სხვაობის ეფექტი	2,987	7,021
რეზერვის ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(158,894)	(76,065)

შპს ზიდო საქართველო და შვილობილი საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

ჩამოწერილი მოთხოვნები	(56,702)	(22,559)
აღდგენილი წინა პერიოდის უიმედო ვალეები	(1,465)	9,849
საექვო ვალეების (ხარჯები) / შემოსავალი	(179,821)	(37,743)
პერიოდის საექვო ვალეების ხარჯები	(182,490)	(47,995)
პერიოდის შემოსავალი საექვო ვალეების ამოღებით	2,669	10,252

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2022	2021
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	2,548,677	2,826,057
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	1,638,565	2,100,041
	4,187,243	4,926,099

ფული რეზიდენტ ბანკში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში“ და სს „აიბისი ბანკში“.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულება	268,419	252,741
გადასახდელი გადასახადები	664,157	685,820
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	1,174,268	615,768
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	740,635	86,800
სხვა ვალდებულებები	14,006	-
	2,861,485	1,641,129

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

14. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანება

კომპანია 2021 წელს გახდა ჯგუფის მფლობელი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანების გზით. რადგან ეს ოპერაცია არ არის ჩვეულებრივი საწარმოთა გაერთიანება ჯგუფმა აღნიშნული აღრიცხვა საბალანსო ღირებულების მეთოდით, რომელიც გულისხმობს შვილობილი საწარმოების ყველა აქტივის და ვალდებულების გაერთიანების თარიღისთვის მათი საბალანსო ღირებულებით აღიარებით.

დეტალურად საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანების ეფექტი შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	20.04.2021
აქტივები		
ინვესტიციები	8	47,170
ძირითადი საშუალებები	9	413,446
არამატერიალური აქტივები	10	114,974
სასაქონლო მატერიალური მარაგები		7,956
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	4,628,070
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	11	(123,260)
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	3,904,789
სულ აქტივები		8,993,144
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,235,848
გადასახდელი დივიდენდები		1,927,957
სულ მოკლევადიანი		4,163,805
სულ წმინდა აქტივები		4,829,339

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	კავშირის სახე	დაკავშირებული მხარის ბალანსი	სულ
ამონაგები		573,499	18,545,095
არამარწყმუნებელი და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	მეკავშირე საწარმო	573,499	
გაყიდვების თვითღირებულება		28,091	12,527,116
დანახარჯები პერსონალზე	მეკავშირე საწარმო	1,517	
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	მეკავშირე საწარმო	24,074	
შეძენილი მომსახურებები		2,500	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		7,062	4,854,725
ინფორმაციული უსაფრთხოების და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	მეკავშირე საწარმო	4,107	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	მეკავშირე საწარმო	2,955	

შპს ბიდიო საქართველო და შვილობილი საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		730,532	4,525,734
სავაჭრო მოთხოვნები	მეკავშირე საწარმო	730,532	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		40,338	2,861,486
სავაჭრო ვალდებულება	მეკავშირე საწარმო	2,537	
მიღებული ავანსები	მეკავშირე საწარმო	37,801	

უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი სარგებელი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეადგენს 1,029,580 ლარს.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2023 წლის მარტში, შვილობილმა კომპანიამ შპს ბიდიო აუდიტმა გაყიდა პოლდინგური კომპანია BDO Eurasia B.V.-ში 5%-ის ოდენობის წილი.

17. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება ჯგუფს წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	4.1737
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	3.2581

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში

კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაბეგრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება.

საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%. ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%.

მოგების გადასახადის გადახდა ხდება როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ (ფიზიკურ და იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საკონლოს უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის მოხდა გამოცხადება.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შექცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საკონლოს ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარდგენილი ფასდაკლებების გამოკლებით. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როცა შესრულებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსევა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო ოჯარა

ჯგუფი ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო ოჯარას. საოპერაციო ოჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით ოჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოქაანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდაართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები, სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.